ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4612221

ნომერი: AR1696128

თარიღი : 24.07.2019

გაცემის თარიღი : 31.07.2019

გაცნობის თარიღი : 31.07.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაშლიჯვრის დასახლება , IIა ზონა, კორპუსი N3ბ -ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სალომე ამაღლობელი პ/ნ 60001113775
- მიცკევიჩის 27, ბ11

ორგანიზაცია:
- გრინ პარკი კოდი: 405287078

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2 0 1 9 წლის 22 ივლისის # AR1696128 განცხადებით მომართა სალომე ამაღლობელმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 თებერვლის №4378173 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, საზოგადოებრივი საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის მიზანშეწონილად არ მიაჩნია 2019 წლის 25 თებერვლის №4378173 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და საზოგადოებრი სივრცედ ჩრდილოეთის მხარის დაფიქსირება, რაზეც ასევე ნამსჯელია AR1688584 განაცხადით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს 2 0 1 9 წლის 22 ივლისის # AR1696128 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.10.18.006.097 მიწის ნაკვეთზე 2019 წლის 25 თებერვლის №4378173 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.